



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი

წევრები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი -ნათია ბრეგაძე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი - ეთერი ბროლაძე

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი - ელენე ოგბაიძე

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი - ეთერი ხობუა

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი- ინგა ხრიკაძე

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი- ნათია კურტანიძე

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი - ნიკოლოზ ჩუბინიძე

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი - მაია ჩაჩხიანი

სპორტის საგნობრივი ექსპერტი - მარინა ანესაშვილი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი-მანანა როსტომაშვილი



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215606690

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ჭიათურა , სოფელი წირქვალი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ჭიათურა , სოფელი წირქვალი
საფოსტო ინდექსი	5500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tsikvali@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577977443

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	31/05/2024 MES 6 24 0000607110
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 24-25 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ.ჭიათურა, სოფელი წირქვალი. 2 შენობა (1 ძირითადი და 1 დამხმარე შენობა)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ.ჭიათურა, სოფელი წირქვალი. 2 შენობა (1 ძირითადი და 1 დამხმარე შენობა)
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ.ჭიათურა, სოფელი წირქვალი. 2 შენობა (1 ძირითადი და 1 დამხმარე შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი

წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში. სასკოლო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი. კათედრებთან შეხვედრებისას, წარდგენილი დოკუმენტაციის კომენტარების დროს მასწავლებლებისგან იგრძნობდა მათი ჩართულობა პროცესებში. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სკოლის ძლიერი მხარეა.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი თანამშრომლობდა საგნობრივ ექსპერტებთან, კერძოდ, სახელმწიფო ენის, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, მათემატიკის, საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მან გააკეთა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რევიზია. ის აქტიურად იყო ჩართული ინტერვიუს პროცესში და საჭიროების შემთხვევაში სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს კურიკულუმებთან დაკავშირებით, კერძოდ, იმის დასაფიქსირებლად, რამდენად იყო შესაბამისობაში სავალდებულო თემები ცნებებთან მიმართებით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გასცემდა რჩევას პედაგოგებისათვის, ექსპერტებთან ერთად და მათთან შეთხზებით, მექანიკური ან სხვა ტიპის უზუსტობების აღმოსაფხვრელად, რათა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყოფილიყო სრულად დაფუძნებული დაწყებითი საფეხურის სპეციფიკასა და მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე.

სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუს პროცესმა ჩაიარა მშვიდ და კომფორტულ გარემოში. საგნობრივ ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს, მოიპოვეს შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, ონლაინ დაათვალიერა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ხოლო ტექნოლოგიების საგნობრივმა ექსპერტმა - კომპიუტერული ლაბორატორია, სასწავლო გარემო. მოხდა ასევე ვირტუალურ ლაბორატორიასთან დაკავშირებით გასაუბრება საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას კათედრებს/ადმინისტრაციის წარმომადგენლებისაგან მოხდა დოკუმენტაციის გამოთხოვა, გაიცა რამდენიმე რჩევა საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. ასევე ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, შეისწავლეს თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. დაათვალიერეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წირქვალის საჯარო სკოლის პირადი გვერდი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
---	-----------------------------	---



--	--	--

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა ჩართულია საგანმანათლებლო პროექტებში, რომლის მიზანია მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება პროფორიენტაციის მიმართულებით. ამ მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან. სკოლა ასევე ჩართულია USAID და PH INTERNATIONAL დაფინანსებით სამოქალაქო განათლების პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებდა მცირე საგრანტო კონკურსს. კონკურსის შედეგების მიხედვით წირქვალის საჯარო სკოლამ მოიპოვა მცირე გრანტი საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა მშობელთა კლუბი, რომელიც ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. ყოველწლიურად სკოლაში ფუნქციონირებს საზაფხულო ბანაკი, სადაც გაერთიანებულია თემის სხვა სკოლების მოსწავლეებიც. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ეწყობა სკოლისთვის მოსამზადებელი ჯგუფი, რომელშიც ჩართული იქნება საბავშვო ბაღის სასკოლო ასაკის ბავშვები.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----200-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N.1.2.2.1..	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სასურველია, შეიქმნას სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც იქნება შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული
N 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	ყველა გასაჯაროვებულ დოკუმენტში მისია ჩამოყალიბებულია ერთნაირად, მხოლოდ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში მისიის ფორმულირება არის განსხვავებული. ექსპერტთა ჯგუფი სკოლას ურჩევს, რომ სტრატეგიულ გეგმაშიც, სასურველია, მისია ჩამოყალიბდეს გაზიარებული და გასაჯაროვებული დოკუმენტის შესაბამისად.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.		
N 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სასურველია, დაკორექტირდეს სტრუქტურული ერთეულების სქემა დოკუმენტაციის შესაბამისად - დაემატოს მრჩეველთა საბჭო.
3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სასურველია, შინაგანაწესში ან სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს სკოლაში დასაქმებულების ჩანაცვლების მექანიზმები.
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს	



	პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამემა მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	
3.3.1.4	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.	სასურველია, შემუშავებული იქნას სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც გაწერილი იქნება შინაგანაწესში
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების	სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო -ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის შედეგად სკოლამ მიიღო გარკვეული რეკომენდაციები. სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით მიწერილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან სახანძრო უსაფრთხოების კვლევის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამოების აღმოსაფრქველად.



	სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს საქმისმწარმოებლის გადამზადების დამადასტურებელი სერტიფიკატი. ასევე სკოლამ დაასაქმოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. სკოლამ ამის შესახებ აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
	საბაზო საფეხური	
ინდიკატორი N.2.1.2.3...	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სასურველია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში იქნას დამონტაჟებული ონკანი
N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, სამომავლოდ, სპორტის შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს და შეიმუშაონ ისე, რომ ისინი სრულყოფილად პასუხობდეს ე.ს.გ. მოთხოვნებს და ითვალისწინებდეს საგნობრივი სტანდარტის თითოეულ სამიზნე ცნებას
	საშუალო საფეხური	



N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სახელმწიფო ენის მიმართულებით სასურველია, სკოლამ მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაკვირვებით, შექმნას სტანდარტული ნიმუშებისაგან განსხვავებული დავალებები. სამომავლოდ შემოქმედებითი ხასიათის დავალებები უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ორიგინალობას, კონკრეტული სასკოლო საზოგადოების რეალური საჭიროებების მართებულად რეალიზებას. საშუალო საფეხურზე განხორციელებული კონცეპტუალური ცვლილებები ხელს შეუწყობს სხვა საფეხურების შინაარსობრივი თავისებურებების უკეთ გაცნობიერებასა და ამ საფეხურების შესაბამისი ორიგინალური საგნობრივი კურიკულუმების შექმნას
N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სასურველია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ონკანის დამონტაჟება
N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, სამომავლოდ, სპორტში შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს და შეიმუშაონ ისე, რომ ისინი სრულყოფილად პასუხობდეს ე.ს.გ. მოთხოვნებს და ითვალისწინებდეს საგნობრივი სტანდარტის თითოეულ სამიზნე ცნებას

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.



ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წირქვალის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაში ნათლად ჩანს, რომ სკოლა მიზნად ისახავს დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, შეუქმნას მოსწავლეებს სათანადო პირობები, რათა შესძინოს მათ თვითრეალიზაციის ცოდნა და უნარები, ჩაუნერგოს მოსწავლეებს სიყვარული და პატივისცემა ოჯახის, საზოგადოების და სამშობლოს მიმართ, დაეხმაროს მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევაში და შეძლონ სწავლა- სწავლების პროცესში შეძენილი ცოდნის ტრანსფერი, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებით, სოციალური და სასწავლო პროექტებით, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებებით. ამას მოწმობს სკოლის მიერ გაფორმებული მემორანდუმი კოლეჯ „იბერიასთან“ და სსიპ ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელების მიზნით, მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის და მათი პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის და სკოლის პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „აისი“, რომელიც შექმნილია სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების და აქტიური მოქალაქის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით, სკოლაში

ფუნქციონირებს ჭრა-კერვის კურსი სამკერვალო პროფესიის პოპულარიზაციის და შესწავლის მიზნით. სკოლა ჩართულია USAID-ის სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამაში, რომელსაც ახორციელებს PH International, სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი “თაობათა დიალოგი” (RICDOG), USAID Civic Education Program Research-Intellectual Club "Dialogue of Generations" რომელიც წარმოადგენს პროგრამის რეგიონალურ პარტნიორ ორგანიზაციას იმერეთში. პროგრამის ფარგლებში სკოლამ მოიპოვა გრანტი (კომპიუტერული ტექნიკა). სკოლას აქვს მკითხველთა კლუბი „წიგნი -მომავლის მეგზური“. პროექტი სახელწოდებით: „გაიგე მეტი-იყავი დაცული“, რომლის მიზანია: ცნობიერების ამაღლება ციფრულ მოქალაქეობასთან დაკავშირებით. 2021-2022 სასწ. წელს სკოლაში ფუნქციონირებდა საზაფხულო სკოლა, რომლის მიზანია მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება ესგ-ს მოთხოვნების მიხედვით, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა, ინტეგრირებული სწავლების პროცესში მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარება.

სკოლის ხედვა გამომდინარეობს მისიიდან და მასში ასახული სკოლის მისწრაფებები. შვიდი წლის შემდეგ თანამედროვე მოთხოვნების მუდმივ ცვალებად გარემოში, ინოვაციური მიდგომებისა და არაფორმალური განათლების პოპულარიზაციით სკოლა გახდება წარმატებული. სკოლის კურსდამთავრებულები მყარი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის საფუძველზე, შეძლებენ პერსონალური გადაწყვეტილებების მიღებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადეკვატურ ჩართულობას. სკოლის ხედვა და მისია ითვალისწინებს სასკოლო პრიორიტეტებს, ღირებულებებს და გამოწვევებს.

სკოლის ღირებულებები წარმოდგენილია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში და წარმოდგენილია ისეთი პრინციპების სახით, როგორიც არის ორიენტაცია მუდმივ განვითარებაზე, გუნდურობა, გამჭვირვალობა, პროფესიონალიზმი, თანასწორობა, ხარისხზე ორიენტირება, ღიაობა, უსაფრთხოება.

ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პროგრესულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს; ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 90 მოსწავლე, სასწავლო პროგრამა ხორციელდება სამივე საფეხურზე. სკოლის დათვალიერების დროს დავრწმუნდით, რომ სკოლაში შექმნილია ასაფრთხო გარემო. სკოლაში უსაფრთხო სოცო სივრცეს უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ექიმის კაბინეტი შესაბამისი აღჭურვილი ინვენტარით და პერსონალით. სკოლას ემსახურება ექთანი, რომელიც მოსწავლეს ხშირად ესაუბრება ჯანმრთელობის და ჰიგიენის საკითხებზე. სკოლის ტექნიკური პერსონალი: დარაჯები, დამლაგებლები და სოციალური დასაქმების პროგრამით დასაქმებული თანამშრომლები უზრუნველყოფენ სკოლის შენობის, გარე პერიმეტრის და ჰიგიენის დაცვას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, სასკოლო კლუბები, რომლის ფარგლებშიდაც ხორციელდება სხვადასხვა სოციალური და სასწავლო პროექტები, ასევე არაფორმალური განათლების

მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები, მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას ემსახურება პროექტ გაკვეთილები, სკოლაში აღინიშნება ყველა მნიშვნელოვანი თარიღი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კულტურულ განვითარებას. სკოლაში დაცულია როგორც მოსწავლეთა, ისე დასაქმებულთა პერსონალური მონაცემები, რაც რეგულირდება შესაბამისი მექანიზმებით. შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ სკოლაში თითოეული მოსწავლის საჭიროების მიხედვით დაიგეგმოს და წარიმართოს სასწავლო პროცესი, გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ყველა რესურსი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად.

ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლაში შეიქმნა მისია, ხედვისა და ღირებულების სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არის საგნობრივი კათედრების წევრები, დირექტორის მოადგილე, თემის წარმომადგენელი. დოკუმენტაციის შესაწავლის და ადგილზე სამუშაო ჯგუფთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია ერთობლივად სასკოლო საზოგადოებასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან სამუშაო შეხვედრებზე, კათედრის სხდომებზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია (მისიის, ხედვის და ღირებულებების სამუშაო ჯგუფის, სამეურვეო საბჭოს ოქმები, სხვადასხვა კლასების მშობელთა კრების ოქმები), სადაც განხილულია აღნიშნული საკითხები, მოსწავლეთა თვითმმართველობის კრების ოქმები), რაც ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და თანამონაწილეობით.

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მისია და ხედვა და ღირებულებების სამუშაო ვერსია გამოქვეყნებული იყო სკოლის ფეისბუქგვერდზე, სკოლის ვებგვერდზე. აღნიშნულის დასტურად წარმოადგინეს სკოლის მისიის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ჩამოყალიბებულია გაზიარების მექანიზმი, რომლითაც ამ პროცესს დაარეგულირებს. მნიშვნელოვანია, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბება ხდება გუნდურად და გათვალისწინებულია პროცესებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც მისიის ფორმულირება არის განსხვავებული. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევა, სტრატეგიულ გეგმაში მისია ჩამოყალიბებული იქნას გაზიარებული და გასაჯაროვებული დოკუმენტის შესაბამისად.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, გამოქვეყნებულია სკოლის პირველ სართულზე ყველა დაინტერესებულ პირთათვის, ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. ასევე განხილულია და გასაჯაროებულია მშობელთა კრებებზე. მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია 2023-2030 სასწავლო წლის სტრატეგიულ განვითარების გეგმაში.
ინდიკატორი 1.1.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, დაფუძნებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და მისი სახელწოდება განსაზღვრულია მინისტრის შესაბამისი ბრძანებით: სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა.
ინდიკატორი 1.1.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული გეგმის პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის და დამტკიცების შესახებ ბრძანება N 2-10 და ოქმი
- სამეურვეო საბჭოსთან სტრატეგიული გეგმის და მისია, ხედვა და ღირებულებების შეთანხმების შესახებ ოქმი N 2
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- მშობელთა კრების ოქმი, მისია, ხედვა, ღირებულებების განხილვა.
- სკოლის ვებგვერდი
- პედსაბჭოს ოქმი მისია, ხედვა, ღირებულებების განხილვა და სტრატეგიული გეგმის განხილვის შესახებ
- ფოიეს ფოტო
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- გრანტის მოპოვების შესახებ ცნობა

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს თანასწორობას, გამჭირვალებას, სამართლიანობას, მიზანშეწონილობას, სოციალურ პასუხისმგებლობას. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, თუ რა პროცესებს გაივლის სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. მეთოდოლოგიაში გაწერილია დაგეგმვის პროცესის ეტაპები: ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი, ხედვის, მისიის, ღირებულებების ჩამოყალიბება. სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება და დამტკიცება, სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება,

სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება. კეთდება სასკოლო თემის მოლოდინის ანალიზი. კვლევისას სკოლა იყენებს SWOT ანალიზს. დაგეგმვის შემდეგ იწყება განხორციელების ეტაპი, რასაც სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი დირექციასთან ერთად უწევს მონიტორინგს.

ინდიკატორი 1.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლას აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც შემუშავებულია 2023 წელს და არის შვიდწლიანი. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებების. ძირითად ამოცანად სკოლა ისახავს მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი 21-ე საუკუნის შესაბამისი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს საჭირო უნარ-ჩვევების პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას შესაბამისი კვალიფიციური კადრების მეშვეობით. სტრატეგიული გეგმაში მისიის ფორმულირება არის განსხვავებული. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევა, სტრატეგიულ გეგმაში მისია ჩამოყალიბებული იქნას გაზიარებული და გასაჯაროებული დოკუმენტის შესაბამისად.

სტრატეგიული განვითარების გეგმა შეიცავს სამ სტრატეგიულ მიმართულებას: სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება; სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებების ხელშეწყობა; სკოლის ორგანიზაციული განვითარება. სკოლის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მისიის და ხედვის რეალიზების გზას. სკოლასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლაში დაწყებულია ყველა საჭირო მოსამზადებელი პროცესი დოკუმენტების რევიზირებისათვის. უნდა აღნიშნოს, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესების დინამიურობა და მასშტაბურობა სკოლას გააზრებული აქვს, რაც იგრძნობოდა სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს.

ინდიკატორი 1.2.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან: . სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება,

სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა, ადამიანური რესურსის განვითარება, აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო ო/სასწავლო რესურსების განახლება/შეცვლა, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს

უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. სკოლა გამოხატავს მზაობას გააუმჯობესოს/განავითაროს სხვადასხვა მიმართულებები მონიტორინგის გზით.

ინდიკატორი 1.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში შვიდი ძირითადი მიმართულებათა, რომელშიც ჩაშლილია აქტივობები, მოქმედ გეგმაში გათვალისწინებულია პასუხისმგებელი პირები და გაწერილია ვადები, გაწერილია გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები, რომელიც შესაბამისია სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმის მიზნებთან, ხოლო მიზნების მისაღწევად გაწერილი ამოცანები შესაბამისი აქტივობებით რეალისტურია. სკოლის სამოქმედო გეგმაში აქტივობების პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ასევე სკოლის მართვაში ჩართული პირები. აქტივობების შესრულება რეალისტურ ვადებშია გაწერილი.

ინდიკატორი 1.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების შესახებ ბრძანება და ოქმები
- სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ოქმი
- სამეურვეო საბჭოს მიერ სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ ოქმი
- წირქვალის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ სკოლის სტრატეგიული გეგმის შეფასება მოხდება სასწავლო წლის ბოლოს. ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას ამ მიმართულებით, თუმცა ვიზიტის დროს ჯერ არ იყო შექმნილი და ბრძანებით დამტკიცებული მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფი. სკოლას უკვე აქვს SWOT ანალიზის შედეგები, რის საფუძველზეც მოხდება მონიტორინგი. სასკოლო საზოგადოების წევრები აცხადებენ, რომ ამ პროცესებში ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, მშობლები, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა). ისინი განახორციელებენ ანგარიშგებას, რაც საფუძველი გახდება მომდევნო ნაბიჯების. მეთოდოლოგია განსაზღვრავს, ვინ იქნება ამ პროცესებზე პასუხისმგებელი პირი და რა ინტენსივობით განხორციელდება იგი. ასევე აღნიშნულია განხორციელების პროცედურა. სკოლაში შემუშავებულია მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გაწერილია პროცესის აღწერა პრიორიტეტები, მიზანი, რესურსები. ვადები, რომელიც აუცილებლად იქნება დაცული. განსაზღვრულია, როგორ განხორციელდება მონიტორინგი, როგორ მოხდება მონიტორინგის ანალიზი და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რა რეაგირებას გააკეთებს სკოლა, როგორ დაგეგმავს მომდევნო სასწავლო წელს, რა ინტერვენციები იქნება განხორციელებული.სამომავლოდ სკოლა დაგეგმავს კვლევების განხორციელებას და სკოლის სხვადასხვა



სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების საფუძველზე დაადგენს პრიორიტეტებს და სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით შეიმუშავებს მომავალი წლის სამოქმედო გეგმას.

ინდიკატორი 1.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. ინდიკატორი 1.2.2.2 არ ფასდება

3. ინდიკატორი 1.2.2.3 არ ფასდება

4. ინდიკატორი 1.2.2.4 არ ფასდება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2023-2030 წ.წ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციების აღწერილობა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების- სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. მათი ფუნქციები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმით და საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ, ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ პირებს: პედაგოგები, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, სკოლის ექთანი, სპეც მასწავლებელი, დამლაგებლები, დარაჯები - მათი ფუნქცია მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურული ერთეულების სქემაში არ არის მრჩეველთა საბჭო და ხარისხის მართვის ჯგუფი, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია მათი ფუნქცია - მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევა, დაკორექტირდეს სტრუქტურული ერთეულების სქემა დოკუმენტაციის შესაბამისად, დაემატოს მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, შრომით ხელშეკრულებებში გაწერილი ვალდებულებებით და შინაგანაწესით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს თითოეული წევრის ფუნქცია - მოვალეობები. პედაგოგიური

პერსონალი შედგება 28 მასწავლებლისგან, სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე და 1 სპეცმასწავლებელი. საშტატო ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილება მკაფიოდ გამოჩნდა სკოლაში ვიზიტის დროს. მაგალითად, სკოლამ წარმოადგინა ხარისხის ჯგუფის მართვის დებულება, კათედრის წევრების, სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქცია - მოვალეობების შესახებ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულება, სკოლის ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება, დამრიგებლის დებულება. სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტაციით ჩანს რომ პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო ცხოვრებას გახდის მეტად მოსწავლეზე ორიენტირებულს, ხელს უწყობს საგანანათლებლო საქმიანობის სწორად განხორციელებას

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-03 სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დამტკიცების შესახებ
- სქემა სკოლის სტრუქტურული ერთეულები
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.
- სკოლის სტრუქტურა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის სამოქმედო გეგმა
- ბუღალტრის შრომითი ხელშეკრულება
- დარაჯის და დამლაგებლის ხელშეკრულებები
- ექთნის ხელშეკრულება
- მასწავლებლის პირადი საქმე

- მასწავლებლის ხელშეკრულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, მასში გაწერილია პერსონალის უფლება მოვალეობები, მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. პროცესების მართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე თითოეული რგოლის გაწერილი მოვალეობები, რომელიც მოცემულია პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში; ასევე სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით.

ინდიკატორი 3.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2.სკოლის პერსონალთა მართვის პოლიტიკის მიზანია პერსონალის ერთობლივი, წარმატებული მუშაობის უზრუნველყოფა, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და ხელშეწყობა. სკოლაში პერსონალის შერჩევა ხდება საჭიროებიდან გამომდინარე, როდესაც გაჩნდება ვაკანსია, იწერება ბრძანება, ცხადდება ჯერ შიდა ვაკანსია, თუ არის სკოლაში მსურველი და აკმაყოფილებს იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობის შესაბამისად. განცხადებას განიხილავს კომისია და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში ფორმდება ხელშეკრულება. გარე ვაკანსიისათვის დგება კომისია, შეირჩევა საბუთები, ინიშნება გასაუბრება. სკოლაში დასაქმებულთა მოტივაციის ზრდა, პერსონალის გადამზადება-განვითარება, წახალისება, შეფასება რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხორციელდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. ამასთანავე სკოლის შინაგანაწესში ან სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის გაწერილი პერსონალური კადრების ჩანაცვლების პროცედურები, კერძოდ, შინაგანაწესის მიხედვით: „დასაქმებულის სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის საპატიო მიზეზით დატოვების შემთხვევაში დასაქმებულზე არ გავრცელდება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, თუმცა, მას ხელფასიდან დაუკავდება გაცდენილი სამუშაო დროის შესაბამისი ანაზღაურება.“ ასევე სკოლას აქვს პრაქტიკა, დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ მოხდეს მისი ფუნქციების გადანაწილება, რომ არ დაზარალდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები. აღსანიშნავია, რომ სკოლა სოფელში მდებარეობს და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა ძნელია, არც იმისი ფუფუნებაა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ჩამნაცვლებელი კადრი არსებობდეს. ამ შემთხვევაში სკოლა მიმართავს გაკვეთილების გადაცვლას არსებული კადრების გამოყენებით, ან მოგვიანებით მოქნილი გრაფიკით ანაზღაურებას. არსებობს გაკვეთილების შეცვლის ფაქტების ჩანაწერებისთვის სპეციალური ჟურნალი, თუმცა არ არის გაწერილი სკოლა როგორ მოახდენს მის ჩანაცვლებას. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ შინაგანაწესში ან სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს სკოლაში დასაქმებულების ჩანაცვლების მექანიზმები

ინდიკატორი 3.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3.სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით მოქმედი კანონმდებლობის



საფუძველზე სკოლს შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესი. სკოლა ცდილობს არ შეიქმნას კადრების დეფიციტი. სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლა აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე pedagogi.ge. პორტალზე თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები.. წირქვალის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე, კონკურსის ორგანიზებისას იქმნება საკონკურსო კომისია, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები. კონკურსი ცხადდება ვებგვერდზე, სადაც აპლიკანტები წარმოდგენენ განაცხადს. პირველ ეტაპზე ხდება საბუთების გადარჩევა, ელექტრონულ ფოსტაზე აპლიკანტებს ეგზავნებათ პასუხი, ინიშნება გასაუბრება და თარიღიც ეცნობებათ ფოსტის მეშვეობით. მეორე ეტაპზე აპლიკანტებს ვიწვევთ გასაუბრებაზე კომისიასთან, რომლის შემადგენლობაში შედის, როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და მოწვეული სპეციალისტები სადაც ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით მიიღება გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება აპლიკანტებს მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.წარმოდგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი და პერსონალის შერჩევა/დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების შესახებ ჩამორთვევის ცნობები

ინდიკატორი 3.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. შრომითი ხელშეკრულები შესაბამისია მოთხოვნებთან. სკოლას ჰყავს: 28 მასწავლებელი. ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი პირადი საქმეების მიხედვით პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. წირქვალის საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალი არის დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, რასაც

ადასტურებს კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია eSchool-ის ბაზაში. სკოლას ჰყავს 9 წამყვანი, 12 უფროსი, 1 მოწვეული მასწავლებელი, 1 პრაქტიკოსი სპეც მასწავლებელი, მათთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებშიც დაწვრილებითაა გაწერილი სტატუსის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელის კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაცულია საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის და სხვა პერსონალისთვისაც. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი. ,რომელშიც აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები , სტარტეგიები და ამოცანები.სკოლის როლი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში და ა.შ. სასკოლო საზოგადოება მუშაობს გუნდური და მონაწილეობითი პრინციპით. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება, გამოხატოს პოზიცია, რომელიც გაზიარებულია კოლექტივის მიერ. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში ფუნქციები დელეგირებულია.

ინდიკატორი 3.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი. ,რომელშიც აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები , სტარტეგიები და ამოცანები.სკოლის როლი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში. სასკოლო საზოგადოება მუშაობს გუნდური და მონაწილეობითი პრინციპით. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება, გამოხატოს პოზიცია, რომელიც გაზიარებულია კოლექტივის მიერ. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში ფუნქციები დელეგირებულია, სასკოლო საზოგადოებას შეუძლია, ერთმანეთს მოუსმინონ, გამოთქვან აზრი, დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ. გუნდური მუშაობა სკოლისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, სწორედ გუნდურობითაა განპირობებული სკოლაში ჩატარებული არაერთი სოციალური თუ ძალზე აქტუალური სასწავლო პროექტები და საინტერესო არაფორმალური აქტივობები.სკოლა აღიარებს გუნდური თანამშრომლობის პრინციპებს. სხვადასხვა საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება პედსაბჭოზე, კათედრებზე, თვითმმართველობის სხდომებზე, მშობელთა გაერთიანებულ კრებებზე. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ინდიკატორი 3.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

6. სკოლა აღიარებს და მხარს უჭერს სასკოლო საზოგადოების წევრთა წარმატებას. სკოლის სოციალურ გვერდზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მუდმივად ზიარდება თანამშრომელთა წარმატებები. კათედრის შეხვედრებზე პედაგოგები აზიარებენ სიახლეებს, მიდგომებს, მეთოდებს, რომლებიც შეიძინეს სხვადასხვა საგნობრივი ტრენინგისა თუ პრაქტიკის დროს. მაგ.:

სკოლაში გაზიარებულია როგორც შიდა სასკოლო, ისე სხვა სკოლების წარმატებული გამოცდილება. სკოლა ჩართული იყო პროექტ „ჯიპრაიდი“-ში, რამაც დიდი გამოცდილება შესძინა პრედაგოგებს სწავლა/სწავლების პროცესში თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა/განხორციელებაში. პროექტის დასრულების შემდეგ სკოლამ სასკოლო ქსელის ფარგლებში უმასპინძლა ახლომდებარე სკოლებს წარმატებული გამოცდილების გასაზიარებლად. USAID - პროგრამის ფარგლებში ლიდერ მასწავლებლებებს ინტენსიურად უტარდებოდათ ტრენინგები, სადაც მიღებულ გამოცდილებას აქტიურად უზიარებდნენ კოლეგებს. ამასთანავე, სიახლეების გაზიარება ხორციელდება თითოეულ კათედრაზე, სასკოლო თემში, რაიონულ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე. სკოლა მოსწავლეებისა თუ თანამშრომლების წარმატებებს ყოველთვის აზიარებს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე. სკოლა არასდროს ყურადღების მიღმა არ ტოვებს სხვადასხვა სფეროში წარმატებულ მოსწავლეებს და ყოველთვის უზიარებს და ასაჯაროებს მათ წარმატებებს, იქნება ეს სპორტში, ხატვაში, სწავლაში წარმატებისთვის და სხვა. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ განსაკუთრებული ღვაწლის გამო მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარადგინა მათემატიკის მასწავლებელი. სკოლის მიერ ასევე აღიარების/დაფასების არაჩვეულებრივი ნათელი მაგალითი იყო სკოლიდან წასული ღვაწლმოსილი პენსიონერი პედაგოგის მოწვევა სკოლაში. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა კათედრებისა თუ სკოლის დირექციის წევრებისგან. სკოლაში წარმატებული გამოცდილების აღიარება და გამოცდილების გაზიარება ხდება: გაკვეთილებზე ერთმანეთთან დასწრების, უკუკავშირის, ერთობლივი პროექტებისა თუ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების გზით. ასევე სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია წახალისებისა და აღიარების მთელი რიგი საკითხები, მნიშვნელოვანია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესებში მასწავლებელთა თუ დირექციის მაღალი ჩართულობა

ინდიკატორი 3.1.2.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- საკონკურსო კომისიის ბრძანება
- eschool-ის ბაზა სქრინი
- საკონკურსო კომისიის ოქმი



- teachersjobs.ge-ს გვერდის სკრინი
- წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება
- უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება დანართი
- მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება დანართი
- სპეც. მასწავლებლის ხელშეკრულება დანართი
- მასწავლებლის დანიშვნის ბრძანება
- კოლეგებთან შეხვედრის ოქმი დანართი
- ლინკი მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარდგენა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის მართვის „მექანიზმები“. მასში დაწვრილებით გაწერილია ადამიანური რესურსების შეფასების ჯგუფის მიზნები და ამოცანები, სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასების აქტივობები, მოცემულია ის კრიტერიუმები, რომლითაც ხდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის ხარისხის დადგენა. სკოლის მიერ წარმოდგენილ გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირის ნიმუშები ადასტურებს, რომ სკოლას აქვს შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც განისაზღვრება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის გარკვეული საკითხები. შინაგანაწესი ადგენს შრომის პირობების, ზოგადი პრინციპების, დასაქმებულის შვებულების, წახალისების და დისციპლინური წარმოების დეტალებს. მისი მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება, მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა და სხვა. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიერ შემუშავებული დაკვირვებისა და უკუკავშირის ფორმები წარმოგვიდგინა სკოლამ. წარმოდგენილი დოკუმენტები და სკოლაში ინტერვიუება, როგორც დირექციის ასევე კათედრის ხელმძღვანელებთან ინდიკატორი 3.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

ინდიკატორი 3.2.1.2 არ ფასდება

3. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარების მიზნები, რომლის ფარგლებშიც სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პერსონალს, მისი როგორც პროფესიული განვითარების ასევე კარიერული ზრდის მიმართულებას. რაც ბუნებრივია სასკოლო გარემოს გაუმჯობესებასა და მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული. სკოლას ჰყავს 19 უფროსი, 9 წამყვანი მასწავლებელი, რაც სკოლის მხრიდან მათ კარიერულ



წინსვლაზე მეტყველებს. „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულებასა“ და სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, გათვალისწინებულია პერსონალის კარიერული წინსვლის აქტივობები. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა წინსვლას, აწვდის ინფორმაციებს საჭირო რესურსებსა და მასალებს, რომელიც საჭიროა პროფესიული წინსვლისთვის. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის პერსონალისთვის ყოველთვის ცნობილია, რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია მასწავლებელს კარიერული წინსვლისთვის, დროულად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლის გამოცდებზე რეგისტრაციის შესახებ. სკოლის ბუღალტერი გადამზადდა სკოლის დაფინანსებით (გაიარა ტრენინგი- ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება) და ხელი შეეწყო პროფესიულ განვითარებაში. სკოლა მასწავლებლებს გამუდმებით უზიარებს ბიბლიოთეკაში არსებულ მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ ბმულებს, თუნდაც მასწავლებლის სახლის მიერ ჩასატარებული ვებინარების შესახებ. ურთიერთთანამშრომლობს ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა ე.წ. „კრიტიკული მეგობრების“ ინსტიტუტი, რომელიც სასწავლო პროცესში მასწავლებელთა ურთიერთდაკვირვებას ითვალისწინებს. პერსონალის კარიერული ზრდა პროპორციულად აისახება მოსწავლეების წარმატებაზე. სკოლის მოსწავლეები აქტიურად ერთვის რაიონულ თუ რეგიონალურ პროექტებში.

ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. ახალი თანამშრომლის მიღების წესი სკოლას გაწერილი აქვს ადაპტაციის დოკუმენტში. სკოლის დირექცია ახალ თანამშრომელს აცნობს სასკოლო ფიზიკურ გარემოს, აცნობს თანამშრომლებს, აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და ყველა იმ დებულებას, რის მიხედვითაც სკოლაში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. სასკოლო საზოგადოება ახალ თანამშრომელს მაქსიმალურად კეთილგანწყობილი ხვდება, რაც უადვილებს გარემოსთან ადაპტაციასა და ინტეგრაციას. წირქვალის საჯარო სკოლაში ახლი მოსული კადრისთვის მაქსიმალურიად კეთილგანწყობილი გარემოა და სასკოლო საზოგადოების მიმღებლობა საკმაოდ მაღალია.

ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. წირქვალის საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებისათვის დირექციისგან ყოველთვის მხარდაჭერილია ნებისმიერი ინიციატივა თუ ინიციატიური იდეა. სწორედ ამის გამოა, რომ სკოლაში მრავალფეროვანი სასკოლო პროექტები ხორციელდება, რომლის ინიციატორები ხშირად სწორედ მასწავლებლები არიან. ასეთი აქტივობები არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ პედაგოგებისთვისაც განვითარების საშუალებაა. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი ეკოკლუბი და მწიგნობართა კლუბები. აგრეთვე სამოქალაქო



მასწავლებლის ინიციატივით შექმნილი კლუბი „აისი“. სკოლის დირექციის მხარდაჭერით სკოლა ჩართულია USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში, ამ პროგრამის ფარგლებში მასწავლებლის ინიციატივით განხორციელებულ მცირე გრანტების პროექტში თემაზე მშობელთა ჩართულობა, პროექტის სახელწოდებაა „ერთად ყველაფერს შევძლებთ“, პროექტმა გაიმარჯვა და მიიღო გრანტი. აღნიშნულ მცირე გრანტების კონკურსში სკოლამ უკვე მეორედ მიიღო გამარჯვება. ამჟამად მასწავლებლის ინიციატივით საკონკურსო პროექტის განაცხადი წარდგენილი არის ტექნიკის კონკურსზე, რომელშიდაც ერთხელ უკვე სკოლა არის გამარჯვებული და მოპოვებული აქვს გრანტი. მხარდაჭერილია სპორტის მასწავლებლის მიერ განხორციელებული სპორტული აქტივობები სხვა სკოლებთან, ასევე ბიბლიოთეკარის ინიციატივით „მკითხველთა კლუბის“ ვიზიტი სოფლის ბიბლიოთეკაში. მასწავლებლის ინიციატივით და დირექციის მხარდაჭერით სკოლა ჩართულია პროექტში „ნიკო კეცხოველის პრემია“, რომელიც აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა კლუბი „მწვანეები“, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო განათლების კლუბ „აისთან“, ასევე დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას სასკოლო საზოგადოებისა და თემის ჩართულობით. წირქვალის საჯარო სასკოლის კლუბი „აისი“ თანამშრომლობს მეზობელი სოფლების საჯარო სკოლებთან და ერთობლივად დაგეგმეს და განახორციელეს არაერთი აქტივობა. ასევე სკოლას აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ქარელის N2 საჯარო სკოლასთან. სკოლებს შორის დაგეგმილმა აქტივობებმა და ღონისძიებებმა ხელი შეუწყო არამარტო მოსწავლეებს შორის მეგობრობას, არამედ სკოლებს შორის თანამშრომლობას. შედგა სკოლებს შორის ვიზიტი, ამ ვიზიტის ფარგლებში განახორციელეს არაერთი სოციალური პროექტები და აქტივობები, სკოლები უკვე გაეცნენ ერთმანეთის კულტურულ მემკვიდრეობას, დაიგეგმა ექსკურსიები. მასწავლებლის ინიციატივით მოსწავლეები მუშაობენ პროექტზე სკოლის გარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, მხარდაჭერილია სკოლის დირექციის, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ და განაცხადი შეტანილია დასაფინანსებლად ქალაქის მერიაში. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი კანონმდებლობის შესაბამიად.

ინდიკატორი 3.2.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სკოლის სამოქმედო გეგმა
- მკითხველთა კლუბის დამადასტურებელი აქტივობის ლინკი
- ბუღალტრის კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ხარისხის მართვის ჯგუფის ბრძანება
- ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირი მასწავლებელს
- კლუბ „აისის“ მიერ განხორციელებული აქტივობები
- საკლუბო მუშაობის მხარდაჭერის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- მშობელთა ჩართულობით აქტივობების დამადასტურებელი ლინკები
- სკოლებს შორის თანამშრომლობა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 16 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანება N13-7-ით. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სრულად აღწერილია სასწავლო პროცესი, ასევე სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის მართვის დებულება, რომლის მიზანიც სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნა, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა-გამოხატულია შემდეგი პროცესებით: დაკვირვება, შეფასება, უკუკავშირი, მხარდაჭერა. სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია). სასკოლო საზოგადოების წევრებს ზუსტად და მთლიანობითად ესმით სკოლაში მიმდინარე პროცესების არსი. პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, მათი მიზნობრივი მუშაობა ხელს უწყობს სკოლის განვითარებას და ხარისხის გაუმჯობესებას. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის ეფექტურობისათვის სკოლაში იქმნება სხვადასხვა დოკუმენტი: მისია, ხედვა, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 3.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი: სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, სამოქმედო გეგმა, სტატეგიული განვითარების გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა პროცესი და იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი თუ დამხმარე

პროცესები.მმართველობითი საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება სასკოლო კურიკულუმის და მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებებით, რასაც ხელს უწყობს დამხმარე პროცესი - ადმინისტრაცია, მრჩეველთა საბჭო, მშობელთა კომიტეტი, მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრები და ინფრასტრუქტურა.. საგანმანათლებლო ციკლის უწყვეტობას განსაზღვრავს მმართველობითი ორგანოები: პედაგოგიური საბჭო, დირექცია, სამეურვეო საბჭო, თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული კათედრები.სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, შექმნილია სხვადასხვა კლუბები. აქტიურად თანამშრომლობს სკოლა გარე პარტნიორებთან: ქალაქის კულტურის ცენტრი, აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჭიათურელთა კავშირი“, ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრი, ქალაქის მერიასთან არსებულ ახალგაზრდული ცენტრი, ქუთაისის პროფესიული კოლეჯი „იბერია“, აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ზემოაღნიშნული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.3.1.2 . შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. აღნიშნულის განხორციელების დროს სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება სკოლის შინაგანაწესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, ვადები. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მშობლები, კანონიერი წარმომადგენლები ინფორმაციას იღებენ მშობელთა კრებებზე. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტებში მითითებულია გასაჩივრების უფლება, ვადები და ინსტანცია. სადაც შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილება. აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია ასევე სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი 3.3.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან



4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის 7 წევრი, სემესტრში 2-ჯერ იკრიბება და მსჯელობს უფლებების დაცვისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის მნიშვნელობაზე. საბჭო უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი(ბრძანება 1კ-4.)სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის პოლიტიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმი, ბრძანება N2-04 26/01/2024. წარმოდგენელია მშობელთა და თანამშრომელთა პირადი ინფორმაციის გასაჯაროების თანხმობის ფორმები.სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი . სკოლას მიეცა რჩევა: სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული უნდა ჰქონდეს სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც გაწერილი იქნება შინაგანაწესში

ინდიკატორი 3.3.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ბრძანება
- შინაგანაწესი
- მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და თანამშრომლების პირადი ინფორმაციის გასაჯაროების თანხმობის ფორმები
- . სასკოლო სასწავლო გეგმა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- კათედრის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;

- განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმი
-

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სოციალური ქსელში მუდმივად ხდება სიახლეების განთავსება. თითოეულ კლასს შექმნილი აქვს შიდა ჯგუფი, სადაც გაერთიანებული არიან აღნიშნული კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექციის წევრები, რის საშუალებითაც კლასთან და სკოლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება ხდება. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ საკუთარი შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება რეკომენდაციების, შემოთავაზებების მიღება ვითარების გაუმჯობესების მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირს, ანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დახურული ჯგუფი facebook-ზე. Teams-ის პლატფორმის ჯგუფი. მშობელთა ინფორმირება და ჩართულობა დირექციისა და დამრიგებლების მეშვეობით ხორციელდება მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელის მეშვეობით შექმნილი კლასის ჩათებით. სკოლას კომუნიკაცია აქვს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები- სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები მონაწილეობენ მართვის პროცესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე სკოლა მუდმივ კომუნიკაციაზეა მათთან და შეთანხმებისამებრ მოქმედებს მათი უკუკავშირის მიხედვით, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. ასევე სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობების მექანიზმებს.

ინდიკატორი 3.3.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). ისე ჯგუფებში, ჩართულები არიან მშობლები. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელია გაერთიანებული, მრჩეველთა საბჭოში- დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე. სასწავლო პროექტებში აქტიურადაა არიან ჩართული მშობლები. მაგალითად: კითხვის საათი მშობელთან ერთად, მხიარული სტარტები სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მეწარმეობის პროექტი „ტრადიციების გახსენება“, საზაფხულო და სპორტული ღონისძიებები მშობელთა ჩართულობით.

ინდიკატორი 3.3.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის განხორციელებული აქტივობები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს დარაჯი. სკოლის არ აქვს სათვალთალო კამერები, დირექტორის განცხადებით მომავალში იგეგმება, სკოლის შიდა პერიმეტრის დაფარვას სათვალთვლო კამერებით. სკოლას აქვს სათანადო მიწერილობა შესაბამის უწყებასთან. სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. სკოლის დირექტორის ბრძანებით N 1/კ -4 განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია უსაფრთხოების რეგულაციები. სკოლას აქვს საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის შედეგად სკოლას მიღებული ჰქონდა უკვე შესაბამისი უწყებიდან რეკომენდაცია. ექსპერტთა ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლას აღნიშნულთან დაკავშირებით გაგზავნილი ჰქონდა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მაგრამ აღნიშნული მიწერილობის დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში. პირველადი დოკუმენტაციის გადმოგზავნის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, მაგრამ ადგილზე ვიზიტისას სკოლას უკვე მიღებული ჰქონდა მდრადობის დასკვა დამაკმაყოფილებელი შეფასებით. სკოლა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით (სართულებზე განთავსებულია ცეცხლმაქრები. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო დაფა შესაბამისი ინვენტარით). ასევე შენობის ორივე სართულზე გამოკრულია



საევაკუაციო გეგმა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი (ბრძ. #2-26). აგრეთვე დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას შიდა რეგულაციებით დამტკიცებული აქვს „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“. სკოლაში კონტროლდება გარეშე პირთა ვიზიტი (ყოველი ასეთი ვიზიტის დროს ვიზიტორი ვალდებულია სკოლის დარაჯს აცნობოს სკოლაში მისი ვიზიტის აუცილებლობა, რისთვისაც გამოყოფილია და იწარმოება სპეციალური ჟურნალი). სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სკოლაში ვიზიტი (ყოველი პარასკევი). აუცილებლობის შემთხვევაში დირექციის თანხმობით ნებისმიერ სამუშაო დროს. სკოლა ვიზუალური დათვალიერებით კეთილმოწყობილია. საკლასო ოთახები დიდი და ნათელია, აქვს ორი კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი, სადაც გათავსებულია პერსონალური კომპიუტერები და ლეპტობები-განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის ქსელში ჩართულია და მუშაობს. ასევე აქვს სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, მხოლოდ პირველ სართულზე სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული, რესურსოთახი, ეზო. სკოლას გარე პერიმეტრზე აქვს კეთილმოწყობილი დამხმარე შენობა, რომელიც ასევე აღჭურვილია სველი წერტილებით

ინდიკატორი 3.4.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. პირველადი დახმარების აღმოჩენას ახორციელებს სკოლის ექთანი. სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებული ჰყავს ექთანი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. (ბრძანება # 1კ-5)

ინდიკატორი 3.4.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლას შიდა რეგულაციებით დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი“; „მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი“; „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი „სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების



აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესი პასუხისმგებელ პირთან ერთად“ სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ზომებს

ინდიკატორი 3.4.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ მიზნით სკოლაში გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირი. დამრიგებლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შორის ურთიერთობებს. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. რეგულარულად იმართება ბულინგის მიმართ პრევენციული ღონისძიებები, რომელთა ორგანიზებას უზრუნველყოფს სამოქალაქო კლუბი და მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა პროექტი, რომელთაგან რამდენიმე მათგანი ეხება ბულინგსა და ძალადობას. სამოქალაქო კლუბის თავჯდომარის ხელმძღვანელობით მოსწავლეებს შორის შედგა დისკუსია თემაზე „გამართლებულია თუ არა ბულინგის დროს მშობლის ჩართულობა“

ინდიკატორი 3.4.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. პროცესის უზრუნველყოფისათვის დასაქმებულია 2 დამლაგებელი შტატით და 4 სოციალური პროგრამით...ამ მიზნით სკოლის დამლაგებლებს დავალებული აქვთ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება. სკოლის სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს დირექცია და სკოლის მედპერსონალი.. რეგულარულად ხდება სკოლის მომარაგება ჰიგიენური საშუალებებით. პროცესის მონიტორინგი დავალებული აქვს ბუღალტერს და სკოლის ექთანს. სკოლის ექთანი ატარებს შეხვედრებს მოსწავლეებთან ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ. სკოლას აქვს უწყვეტი წყალმომარაგება.

ინდიკატორი 3.4.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

6. სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების წევრების პერსონალური მონაცემების დაცვაზე. ძირითადი მონაცემები ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ამ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია



სკოლის საქმისმწარმოებელი. სასურველია, ამ მიმართულებით სკოლამ წარმოადგინოს საქმისმწარმოებლის გადამზადების დამადასტურებელი სერტიფიკატი. შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გასაჯაროების შემთხვევაში, მოსწავლეთა პირადი მონაცემების გასაჯაროებისთვის სკოლა იყენებს მშობელთა თანხმობის ფორმას. მშობელთა კრებებზე არ ხდება აკადემიური მონაცემების გამოცხადება, მშობლებს ურიგდებათ ბარათები, ასევე აქვთ ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა. მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებასა და ინფორმაციის დაცულობაზე პასუხისმგებელია დამრიგებელი. როგორც დამრიგებლებს, ისე მასწავლებლებს დაკისრებული აქვთ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების მკაცრად დაცვის ვალდებულება. სკოლიდან წასული თანამშრომლების, სკოლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, მატერიალური ჟურნალები ინახება სკოლის არქივში. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. სკოლაში ადმინისტრაციის კომპიუტერები დაცულია პაროლებით. სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბტძანებით. **სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი არ ჰყავს დასაქმებული. სკოლას ვურჩევთ, რომ დაასაქმოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და ამის შესახებ აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.**

ინდიკატორი 3.4.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

7. სკოლას ჰყავს IT სპეციალისტი, ხოლო „პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალური მონაცემების გაწერილი მექანზიმებთან ერთად არის ინფორმაციის დაცვის მექანზიმები. სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა იყენებს დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალებს. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა მონაცემების დაცვის საშუალებას გვაძლევს ისეთი ელექტრონული სისტემები, როგორიცაა eSchool-ი, eFlow, ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორი 3.4.1.7 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

8. არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ტექნიკური შემოწმების აქტი
- განახლებული საევაკუაციო გეგმისა და სტენდის ფოტო მასალა
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
- ინფორმაციის გასაჯაროებაზე მასწავლებელთა თანხმობა
- ინფორმაციის გასაჯაროებაზე მშობელთა თანხმობა
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- მოსწავლეთა უკონტაქტო დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირის ბრძანება
- მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირების შესახებ ბრძანება
- დარაჯის ხელშეკრულება
- ექთნის ხელშეკრულება
- დამლაგებლის ხელშეკრულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- არქივის ფოტო
- კლასის საათის ოქმი ბუღინგის თემაზე
- სკოლის ექთნის მიერ ჩატარებული ღონისძიებების ლინკი ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურის წერილი ვიდეოკამერების შემენასთან დაკავშირებით
- ცეცხლმაქრების გადამუხტვის დოკუმენტაცია
- სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობასთან დაკავშირებით

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით (22/03/2024) სსიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა“ (ს/კ 215606690) ფუნქციონირებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალში განთავსებულ შენობა-ნაგებობაში. დაზუსტებული ფართობია . 16759.00 კვ.მ., შესაბამისი მიწის ფართობით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. სასწავლო პროცესი ხორციელდება 1 ძირითად სასწავლო კორპუსში და 1 დამხმარე შენობაში. მიწის



ნაკვეთი მასზედ არსებული შენობა-ნაგებობებით N01 საერთო ფართით 994.0 კვ.მ. N02 საერთო ფართით 41.0 კვ.მ. N03 საერთო ფართით 32.0 კვ.მ. N04 საერთო ფართით 26.5 კვ.მ. N05 საერთო ფართით 154.0 კვ.მ.. სასწავლო კორპუსში არის 14 საკლასო ოთახი, 1 ბიბლიოთეკა, 1 რესურსოთახი, 1 ექიმის კაბინეტი, სპორტდარბაზი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტრისა და საქმისმწარმოებლის კაბინეტი და სააქტო დარბაზი. 1 სართულზე განთავსებულია 5 საპირფარეშო, თითოეულში რამდენიმე სველი წერტილი, აქედან ერთი ადაპტირებული. რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი სპორტ დარბაზი, სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები და სკამები საფეხურების შესაბამისად, დაფები და სხვა ინვენტარი, აქვს დახურული სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი, ფუნქციონირებს ღია სპორტული მოედანი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 5 საკლასო ოთახი, პირველ და .მეორე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო ადმინისტრაციის კაბინეტი 5., სკოლის ეზოში აგრეთვე არის სამი საპირფარეშო (1 ადაპტირებული, გოგონებისთვის და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე). სკოლის დამხმარე შენობაში არის 4 საკლასო ოთახი და ერთი სველი წერტილი. სკოლას აქვს ბუნებრივსაფარიანი სპორტული მოედანი, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი და ელექტრო განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ერთი ან მეტი ფანჯარა. სკოლაში არის 150 მერხი და 150 სკამი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, პროექტორები, თვალსაჩინოებები, პლაკატები, რუკები, წიგნები. არის მოსწავლეთა რაოდენობისა და საფეხურების შესაბამისი ავეჯი. სკოლას არ აქვს შიდა პანდუსი/ სკოლაში არსებობული კომპიუტერული ტექნიკა თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მასწავლებლებისთვის. 2015 წლიდან 2023 წლამდე სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია ადგილობრივი თვითმმართველობისა და ინფრასტრუქტურის სააგენტოს მხარდაჭერით.

ინდიკატორი 3.5.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. .სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა დასაქმებულების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის პირობებს, მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. აღნიშნული წესში აღწერილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, და ბიოლოგია), კომპიუტერული კლასის, სპორტული ინფრასტრუქტურის, მუსიკის კაბინეტის, რესურსოთახის და სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები. ასევე, მატერიალური რესურსის და სასკოლო ინვენტარის დაზიანების დროს ზარალის ანაზღაურების პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის გრაფიკი და სამუშაო დღის რეჟიმი, რომლებიც

გამოკრულია შესაბამის ადგილებში. სკოლას მიეცა რჩევა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ონკანის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.5.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. . სკოლას გააჩნია მხატვრული წიგნადი ფონდი და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ყოველწლიურად ატარებს მოკვლევას, სკოლაში შემომსვლელი მოსწავლეების შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც განსაზღვრავს: ბიბლიოთეკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს, ბიბლიოთეკაში რეგისტრაციისა და წიგნების გატანა/დაბრუნების წესებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, მკითხველის უფლება-მოვალეობებს, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესს. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითობის პრინციპით წიგნების შემოწმების შედეგად დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრულია „ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესის“ შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემას, რაზეც გაფორმებულია ხელშეკრულება სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელს შორის.

ინდიკატორი 3.5.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. . სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს სწავლების ინკლუზიურობას. კერძოდ შენობის შესასვლელი ადაპტირებულია, სკოლას აქვს საჭირო სასწავლო მასალებით და ინვენტარით აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც განთავსებულია ძირითად სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე. აღნიშნული შენობის შესასვლელი არის პანდუსით უზრუნველყოფილი . შიდა სივრცეში კი არ არის პანდუსი მეორე სართულზე ასასვლელად. ადაპტირებული სველი წერტილი გათვალისწინებულია მხოლოდ ერთ შენობაში (ორსართულიანი შენობა). დამხმარე შენობაში ადაპტირებული სველი წერტილი არ არის. რესურს ოთახი და ექიმის კაბინეტი განთავსებულია პირველ სართულზე. ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია ორივე სართულზე. თანაბარი ხელმისაწვდომობა სასკოლო რესურსებისა უზრუნველყოფილია ნებისმიერი მოსწავლისათვის. სკოლა ინკლუზიური განათლების მიმართულებით ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას

ამახვილებს იმ მოსწავლეთა დახმარებაზე, რომლებიც უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან განიცდიან სოციალურ გარიყვას. სკოლაში ბევრი მოსწავლეა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. სკოლაში არ არიან ეთნიკურად, რელიგიურად თუ სხვა ნიშნით განსხვავებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, რომლებიც ჩართული არიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს ტოლერანტობასა და მიმდებლობაზე, ადამიანის უფლებებზე, რომლებზეც მუშაობენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. რესურსოთახში განთავსებულია შესაბამისი რესურსები და ინტერნეტი ჩართული კომპიუტერი. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი თანაბრად არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის

ინდიკატორი 3.5.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. .სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. კერძოდ, სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, ნათელი და ფართო დერეფნები, სააქტო დარბაზი(საკლუბო სივრცე) და კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არის ადგილები, რომლებსაც მოსწავლეები გამოიყენებენ სხვადასხვა სახის სოციალური, კულტურული, და შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის ფოიეში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების, მოსწავლეთა წარმატების აღიარება/დემონსტრირება. აგრეთვე სასკოლო სივრცეში მოსწავლეები და მათი მშობლები, მასწავლებლები, სხვა თანამშრომლები იყრიან თავს და ურთიერთობენ როგორც ფორმალური განათლების, ისე არაფორმალური განათლების აქტივობების ფორმატში. სკოლა თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელთან, ამჟამად მოსწავლეები გადიან ჭრა-კერვის სასერთიფიკატო კურსს. აგრეთვე სკოლას გაფორმებულია ქვეს თანამშრომლობის მემორანდუმი აკ.წერეთლის სხლეობის ქუთაისის უნივერსიტეტთან. აგრეთვე სკოლის მოსწავლეებმა გაიარეს ელექტრობის სასერთიფიკატო კურსი, სადაც ჩართული იყვნენ მეზობელი სოფლის სკოლის მოსწავლეებიც.

ინდიკატორი 3.5.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
შენობა-ნაგებობის ნახაზები
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკარის სამოქმედო გეგმა.
კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
ბიბლიოთეკიდან წიგნების გაცემის ჟურნალი
ბიბლიოთეკის ფოტომასალა
ფოიეში მოსწავლეთა წარმატების ამსახველი ფოტომასალა და ლინკები
რესურსებით სარგებლობის წესი
მემორანდუმი კოლეჯ „იბერია“-სთან
მემორანდუმი აკ.წერეთლის სახ. უნივერსიტეტთან
სსსმ მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროექტში
ინფრასტრუქტურის ფოტოები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლაში არის 2 კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, პირველ და მეორე სართულზე, რომლებშიც განთავსებულია , საჭირო რაოდენობის კომპიუტერები (მეორე სართულზე 13 კომპიუტერი, პირველ სართულზე 11 კომპიუტერი.) და პროექტორი. აქ ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, გათბობით და ინტერნეტით. მოწყობილია კომპიუტერული ქსელიც. რაც ხელმისაწვდომს ხდის ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას საგაკვეთილო პროცესში. სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, რესურსოთახში, დირექტორისა და ადმინისტრაციისთვის სამუშაო სივრცეებში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული თითო კომპიუტერები. სკოლას აქვს 2 პრინტერი და 2 პროექტორი (აქედან 1 პრინტერი და 1 პროექტორი გრანტითაა მოპოვებული), რომელიც არაა საკმარისი. დამატებითი ტექნიკის მოსაძიებლად სკოლა ამჟამადაც ჩართულია ტექნიკის კონკურსში.

ინდიკატორი 3.6.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. .სკოლამ წარმოადგინა აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიზანიც სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა, წესში გაწერილია ყველა მატერიალური რესურსით სარგებლობის წესები, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სკოლაში შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის სპეციალური განრიგი ,რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას მაგრამ სარგებლობის უფლებით არ იზღუდება არც მოსწავლე და არც მასწავლებელი. აგრეთვე მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სამასწავლებლოში განთავსებული ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერები, ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და საკლუბო სივრცეში არსებული კომპიუტერები, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის

ინდიკატორი 3.6.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებულ მატერიალურ ფასეულობათა სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანება

- მასაწვლებლების და მოსწავლეების მიერ შექმნილი მატერიალური რესურსები
- ინფრასტრუქტურის მიერ გადმოცემული კომპიუტერული ტენიკის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- გრანტით გადმოცემული ტექნიკის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მიღება -ჩაბარების აქტი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „საქმისწარმოების წესი“, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში აღირიცხება ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები გარდა ამისა, სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას e-flow”-სა და eschool-ის ბაზებს. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 3.6.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან



2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებათან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლას აქვს ელ.ფოსტა tsikvali@mes.gov.ge
ინდიკატორი 3.6.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

ინდიკატორი 3.6.2.3 არ ფასდება

ინდიკატორი 3.6.2.4 არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სქრინი eSchool-ის, eFlow-ს და ელ.ფოსტის
- მობილობის დამადასტურებელი სქრინი
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება
- გაცდენილი და შეცვლილი გაკვეთილების ჟურნალი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. რისთვისაც იყენებს სკოლის ვებგვერდს (რომელიც შექმნილია skolebi.emis.ge-ზე), სკოლის ფეისბუქ გვერდს, ელექტრონულ ფოსტას (tsikvali@mes.gov.ge), ელექტრონულ ჟურნალს, TEAMS-ის პლატფორმას, საინფორმაციო დაფებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ინფორმაციის საჯაროობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა კლასის დამრიგებლების ჩართულობით აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს მშობლებთან საჭირო ინფორმაციის გაზიარების მიზნით, როგორც მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფის ჩათვლით, ასევე სატელეფონო საუბრებით. გარდა აღნიშნულისა, სკოლის ფოიეში დგას ანონიმური წინადადებების ყუთი, რომელშიც ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს ანონიმურად შეუძლია განათავსოს საკუთარი წინადადებები სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია ითვალისწინებს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, აქვს შესაძლებლობა სკოლას მიმართოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომლის მისამართიც საჯაროა

ინდიკატორი 3.6.3.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას აქვს აქტიური სოციალური ქსელი და სკოლის ვებ-გვერდი, რომელიც იხვეწება და თავსდება ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის შესახებ. სკოლას ჰყავს ინფორმაციის საჯაროობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია საჯაროდ განთავსებული ინფორმაციის სანდოობაზე. სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ავრცელებს სასაშუალო საკუთარ facebook-ის გვერდზე. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანდო და უტყუარია.

ინდიკატორი 3.6.3.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

ინდიკატორი 3.6.3.3 არ ფასდება

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრუქტურას. პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ვებ-გვერდი დახვეწის პროცესშია და ემატება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები.

ინდიკატორი 3.6.3.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი /Facebook
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება



- მშობლის ბარათი უკუკავშირით დანართი
- მშობელთა კომიტეტის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტი მიზნობრივადაა გაწერილი და ემსახურება სასწავლო მიზნებს. შესყიდვების კოორდინატორად ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ბუღალტერი და დამტკიცებულია შესყიდვების წესი. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში.

სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლ და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეუფერხებელ განხორციელებას. შესყიდვების გეგმაში ცვლილება შედის სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით

ინდიკატორი 3.7.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. წარმოდგენილი მასალებით (შესყიდვები წლიური გეგმა, ბაზრის კვლევა, ფინანსური საქმიანობის ანგარიში, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები და 2024 წლის ბიუჯეტი) დასტურდება, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
- დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტი
შესყიდვების წესი და ფორმა
- ბრძანება # 2-50 შესყიდვების კოორდინატორის დანიშვნის შესახებ
- ბრძანება #1კ-13 შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
